ოზურგეთში ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს

ტელეოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით 11 ივლისს ქ. თბილისში საქართველოს პარლამენტის წინ მედიის წარმომადგენლებმა აქცია გამართეს სახელწოდებით „ერთად ლექსოსთვის! არა ძალადობას“. ამ აქციით ჟურნალისტები აპროტესტებდნენ „ტვ პირველის“ ოპერატორის ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებას და 5 ივლისს განვითარებულ მოვლენებს, რა დროსაც მედიის წარმომადგენლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. აქციას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. ჟურნალისტება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადადგომა მოითხოვეს.

12 ივლისს, ქ. ოზურგეთში რეგიონის მედიის წარმომადგენლებმა და არასამთავრობო ორგანიზაიებმა საპროტესტო მდუმარე აქცია გამართეს.

აქციის რამდენიმე მონაწილემა გაზეთ „ალიონთან“ გააკეთა კომენტარი:

თამარ ოგანავა, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი: — *დღეს, ჩემი აქ ყოფნის მიზეზი არის სოლიდარობა მედიის მიმართ. დღეს დილიდან სახალხო დამცველმა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც, ვინაიდან სახელმწიფოს ჰქონდა ინფორმაცია ძალადობრივი მოწოდებების შესახებ, უნდა უზრუნველეყო ეფექტური რეაგირება და პრევენციული ღონისძიებების გატარება. სახელმწიფოს და ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებაა მართლწესრიგის დაცვა. ეფექტური პრევენციული ღონისძიებები ჩვენ ვერ ვიხილეთ. სახალხო დამცველი ამბობს, რომ გამოძიების პროცესს დააკვირდება და შესაბამისად მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი დღევანდელი აქტიურობა, რადგან მედია არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენს საზოგადოებაში. შესაბამისად დღეს ჩვენი აქ მოსვლის მიზეზი სწორედ ის არის, რომ გამოვუცხადოთ სოლიდარობა მედიის წარმომადგენლებს.*

თამარ ღლონტი, ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი—*ასეთ დროს საზოგადოების პროტესტი აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანია. მე ვაპროტესტებ განსხვავებული აზრის მიუღებლობას. საქართველოში ადამიანები განსხვავებულს ქოლავენ. ნებისმიერი ძალადობა დაუშვებელია. დაუშვებელია ნებისმიერი ძალა, რომელიც ამ ძალადობას ახალისებს, ქვეყანაში აღვივებს აგრესიას. უკეთესი იქნებოდა გაცილებით მეტი ადამიანი მოსულიყო დღევანდელ აქციაზე. მე ვფიქრობ რომ საზოგადოებამ არ უნდა მიიღოს, არ უნდა შეეგუოს ძალადობას. ყველამ უნდა აღიმაღლოს ხმა, რა თქმა უნდა მშვიდობიან ფორმებში.*

გიორგი გირკელიძე, ჟურნალისტი („გურია ნიუსი“): — *დღევანდელი შეხვედრა აუცილებელი იყო, რათა ხელისუფლებას დავანახოთ ჩვენი ძალა. სამწუხარო რეალობაში გავიღვიძეთ, გარდაცვლილია ოპერატორი. საჭიროა ყველა შესაბამისმა უწყებამ დროულად, სწრაფად მოახდინონ საქმის გამოძიება. ყველა ადამიანი, რომელიც 5-6 ივნისს მონაწილეობდა ძალადობაში, უნდა იყოს დასჯილი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან. 20 წელზე მეტია ჟურნალისტიკაში ვარ და მუდმივად ვხედავ ბრძოლას ჟურნალისტების წინააღმდეგ. ჟუ-*

▶▶▶ გვ-2

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 21 (10391) 15 ივლისი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

„ლელო“ ოზურგეთში საარჩევნო მარათონი გახსნა

ალიონი. ქ. ოზურგეთში, სარიტუალო დარბაზ „თამარიონში“ პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დალუპული ჟურნალისტის ლექსო ლაშქარავას ხსოვნას.

კონფერენციას უძღვებოდა „ლელოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი სირორიძე.

გიორგი სირორიძემ კონფერენციაზე ისაუბრა „ლელოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და კონფერენციის მონაწილე 53 დელეგატს საარჩევნო სიახლეებზე ესაუბრა. მან აღნიშნა ორგანიზაციის თავმჯდომარის კახა სირორიძის დამსახურება ორგანიზაციის წინაშე და ის ობიექტური მიზეზები დასახელა, რის გამოც კახა სირორიძე თავმჯდომარის პოსტს ტოვებდა.

მისი თქმით, არჩევნებში უნდა დაინერგოს ევროპული სიახლეები და მან ისაუბრა ჰოლანდიური მოდელის შესახებ, როცა ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი პარლამენტში არჩევის შემთხვევაშიც კი კვლავ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრად რჩება და წარმოადგინა ბიულეტენის ნიმუში, სადაც ფარული კენჭისყრით ადგილობრივი ორგანიზაციის გამგეობის 5 წევრის გარდა, ცალკე კოტით აირჩევდნენ ქალთა და ახ-ალგაზრდობის წარმომდგენლებს, ხოლო შემდეგ გამგეობა აირჩევდა ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეს.

არჩევნებში სულ 9 კანდიდატი იღებდა მონაწილეობას, საიდანაც ხმების უმრავლესობა მიიღეს: *ინგა ფრანგულაშვილმა (ქალთა კოტით); მარიკა ფუტკარაძემ (ახალგაზრდული კოტით); გიორგი ბოლქვაძემ, ნინო საკაიამ, კახაბერ სურგულაძემ, ზაზა ჩხარტიშვილმა* და *ტოგო ჭელიძემ*გამგეობამ „ლელოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარედ **ტოგო ჭელიძე** აირჩია.

კენკროვანი კულტურების ფორუმი დაბა ნარუჯაში

ალიონი. 10 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯაში „კენკროვანი კულტურების ფორუმი“ გაიმართა.

ფორუმში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში **კელი დეგნარი,** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი,** საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე **ნინო წილოსანი** და სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძე,** სხვა ოფიციალური სტუმრები, კერძო სექტორის და მედიის წარმომადგენლები.

ფორუმს **USAID**-ის სოფლის მეურნეობის პროგრამების დირექტორი ლუიზა ნამიჩეიშვილი უძღვებოდა.

როგორც ლუიზა ნამიჩეიშვილმა აღნიშნა, აშშ წამყვანი საერთაშორისო განვითარების სააგენტო **USAID** ხელს უწყობს საქართველოს დამოუკიდებლად დაგეგმოს, დააფინანსოს და განახორციელოს ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო გადაწყვეტილებები. 1992 წლიდან **USAID** საქართველოს ისეთ დემოკრატიულ ქვეყნად გარდაქმნაში უწყობს ხელს, რომელიც ინტერგრირებულ იქნება დასავლეთის პოლიტიკურ, უსაფრთხოების და ეკონომიკის ინსტიტუტებში. **USAID**-ის 35-ზე მეტი მიმდინარე პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საქართველოს მავნე გარე ზეგავლენის წინააღმდეგ გაძლიერება, ანგარიშვალდებული მმართველობის ხარჯზე დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაცია და მაღალანაზღაურებადი, მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში **კელი დეგნარი.**

—*ეს ფორუმი არის მაგალითი იმისა, რომელიც ჩვენ გვაქვს საქართველოში.*

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა არის ჩვენი დახმარებების მნიშვ-ნელოვანი ნაწილი. ამერიკის საერთაშორის განვითარების სააგენტო თანამშრომლოს მთავრობასთან, კერძო კომპანიებთან, ფერმერებთან, „თი ბი სი“ ბანკთან, რომ ეს სფერო გახდეს მომგებიანი. კენკროვანი კუტურები ახალი აღმოჩენაა, რომელმაც შემოსავალი უნდა მოუტანიოს საქართველოს, ახალი ბაზრების რიცხვი გაზარდოს—განაცხადა კელი დეგნარმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** აღნიშნა, რომ **USAID** მომავალშიც განახორციელებს დახმარებებს და წარმატებული თანამშრომლობის ბევრი მაგალითი აქვთ.

დავითაშვილმა აღნიშნა ცოდნის ნაკლებობისა და თანამედროვე სტანდარტების შესახებ.

როგორც ფორუმზე ითქვა

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი
ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთში ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს

რნალისტებთან დაპირისპირებით ვერავინ იმარჯვებს. პირველ რიგში სამძიმარი მინდა გამოვუცხადო „ტვ პირველის“ გუნდს და მოვუწოდოთ ყველას, ამოიღონ ხმა და დააფიქსირონ საკუთარი აზრი. ვიყოთ სოლიდარულები ერთმანეთის მიმართ. ახლა დუმილის დრო ნამდვილად არ არის.

მინდია სალუქვაძე, პროგრესის სახლის გამგეობის თავმჯდომარე: *– სოლიდარული ვარ ჟურნალისტების მიმართ, მათთვის ძალიან მძიმე დღე იყო გუშინ. მადლობელი ვარ მათი, ჟურნალისტები რომ არა ამ ქვეყანაში ის ნათელი კუნძულებიც არ იქნებოდა, რაც არის და შუა საუკუნეების ხალიფატში ვიცხოვრებდით. ქვეყანაში განვითარებისთვის, ჩვენი ისტორიული არჩევანის, ევროპული ინტეგრაციისთვის ყველაზე მეტს მედია აკეთებს. ამიტომაცაა მიზანმიმართული ქმედებები მედიის წინააღმდეგ, შემთხვევითი არაფერი არაა.*

შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ „ტელეკომპანია პირველის“ ოპერატორის, ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში მიმდინარეობს შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

სამინისტროს მიერ ოჯახის წევრებს შეეთავაზათ, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში მონაწილეობა მიიღოს მათთვის სასურველმა დამოუკიდებელმა და საერთაშორისო ექსპერტმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, კიდევ ერთხელ გამოთქვამს მზადყოფნას, საგამოძიებო მოქმედებებში ჩაერთონ საერთაშორისო ექსპერტები. მათ შორის, საგამოძიებო უწყება მზად არის საექსპერტო ნიმუშები შესწავლილი იქნას საზღვარგარეთ შესაბამის ლაბორატორიებში.

ცნობისთვის, „ტვ პირველის“ ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა. ლაშქარავას 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მარი კოძოევი

ამერიკის ელჩი ინგლისური ენის პროგრამის კურსდამთავრებულებს შეხვდა

10 ივლისს, ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის (**ACCESS**) ოზურგეთის ჯგუფს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი სტუმრობდა.

შეხვედრა პროგრამის კურსდამთავრებულებთან საინტერესო და უშუალო გარემოში წარიმართა. ახალგაზრდებმა მრავალი კითხვით მიმართეს ელჩს და შეხვედრა გულახდილ დისკუსიაში გადაიზარდა. ელჩმა გაკვირვება ვერ დამალა მონაწილეთა ინგლისურ ენაზე საუბრის უნარ-ჩვევებით და არა ერთხელ აღნიშნა პროგრამისა და პედაგოგების დიდი წვლილი მათი წარმატების საქმეში.

შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა ელჩს წარუდგინეს მათ მიერ გადაღებული კლიპი გურიაზე. კლიპი ინგლისურ ენაზეა და სიმღერით გვაცნობს გურიასა და გურულებს.

ელჩმა პროგრამის მასპინძელი ორგანიზაციის ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტის (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) აღმასრულებელ დირექტორს თამარ ღლონტს, **ACCESS** პროგრამის პედაგოგებს ნადია ქარდავასა და ანა ნოზაძეს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

თავის მხრივ ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტმა (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) შვილობილი ორგანიზაციის, ლაზერული გრავირების სოციალური საწარმოს მიერ გურული თემატიკით შესრულებული კედლის საათი გადასცა. ღონისძიება სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (**ACCESS**): პროგრამას **PH International** ახორციელებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით, ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) კი პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია ოზურგეთში. პროგრამა მიზნად ისახავს ხელმისაწვდომი გახადოს ინგლისური ენის შესწავლა13-დან 16 წლამდე მოზარდებისთვის ეკონომიკურად და სოციალურად შეჭირვებული ოჯახებიდან. გარდა იმისა, რომ ბავშვები შეისწავლიან ინგლისურ ენას, ისინი, ასევე ეზიარებიან ამერიკულ კულტურას, წესჩვეულებებს და განივითარებენ ლიდერის თვისებებს. პროგრამა ორწლიანია და მოიცავს სწავლების 4 სემესტრს.

გურიის გუბერნატორმა ისრაელის ელჩთან სამუშაო შეხვედრა გამართა

სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი ურუშაძემ საქართველოში ისრაელის ელჩ რან გიდორთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

რწმუნებულმა ელჩს რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტები გააცნო. მხარეებმა ასევე იმსჯელეს სოფს მეურნეობის, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე.

მხარის რწმუნებულთან, პარლამენტის წევრთან, გურიის მაჟორიტარ დეპუტატთან ვასილ ჩიგოგიძესთან, პარტნიორი ორგანიზაციის „შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტთან, ზაურ ოსეფაიშვილთან და კლუბის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ელჩმა რეგიონში არსებული რამდენიმე ადგილობრივი სკოლა მოინახულა, რომელთაც ასჰავ-ის (ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო) მხარდაჭერით წყლის გასაფილტრი თანამედროვე დანადგარები გადაეცათ.

„მოხარული ვარ, რომ დღეს გურიის რეგიონს საქართველოში ისრაელის ელჩი ბატონი რან გიდორი სტუმრობს. მე მას რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ მივაწოდე ინფორმაცია. ასევე ვიმსჯელეთ სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლ-ობის გაღრმავების შესაძლებლობებზე. აღსანიშნავია რომ ებრაელი ხალხის დახმარებით გურიაში არსებულ რამდენიმე სკოლას წყლის გასაფილტრი თანამედროვე დანადგარები გადაეცათ, რისთვისაც დღევანდელ შეხვედრაზე ბატონ გიდორს და ისრელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადავუხადე,“– განაცხადა გიორგი ურუშაძემ.

–„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვეწვიე გურიის რეგიონს წელს უკვე მეორედ. აქ იმისთვის ვარ, რომ მხარი დავუჭირო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებს შალომ კლუბი, ისრაელის მთავრობის საერთაშორისო დახმარებისა და კორპორაციის სააგენტოს კლუბი. "შალომი" არის თბილისის ისრაელის საელჩოს წარმომადგენლობა, ფილიალი და შალომ კლუბის დახმარებით გურია განახორციელებს მრავალ პროექტს. კერძოდ დღეს მე აქ ვარ რათა მხარი დავუჭირო უკვე დაწყებულ პროექტებს, რომელთა მიზანია მიაწოდოს ადგილობრივ სკოლებს წყლის გამწმენდი აღჭურვილობა ისრაელიდან, რომელიც ძალიან იაფი და მარტივად ხელმისაწვდომია და ბავშვებს სუფთა, გაწმენდილ დასალევ წყალს აწვდის. ეს საკითხი ადგილობრივ ხელისუფალთან განვიხილე და მიხარია, რომ ისინიც უჭერენ მხარს ამ პროექტს და მზად არიან სამომავლო- თანამშრომლობისთვის,“ –განაცხადა ისრაელის ელჩმა რან გიდორთმა.

განათლებისა და თანასწორობის ცენტრმა და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა წარმოადგინა

ალიონი. ქ. ოზურგეთში, სასტუმრო „ოზურგეთი პლაზას“ საკონფერენციო დარბაზში პროექტის –„გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორ-ინგისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა.

მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა პროექტის – „გურიის,იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისთვის“ ფარგლებში.

კვლევაში მონაწილეობდა ორი ორგანიზაცია „განათლებისა და თანასწორობის ცენტრი“ და „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“. ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციის „განათლებისა და თანასწორობის ცენტრის“ მიერ.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის მაისსა და ივნისში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი სხვადასხვა სტატუსის მქონე მოქალაქეები: დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, მათ შორის მრავალშვილიანი დედები/მამები, მარტოხელა დედები/მამები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, მცირე მეწარმეები, პროფესიული შერეული ჯგუ-ფები: მეწარმეები/ბისნესმენები, მასწავლებლები, სამედიცინო სფეროს მუშაკები და ა.შ (უფრო ვრცლად, „ალიონის“მომდევნო ნომერში)

კენკროვანი კულტურების ფორუმი დაბა ნარუჯაში

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ბაზარზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, დარგობრივ ასოციაციებს, მომსახურებისა და კონსულტაციის მიმწოდებლებს უზრუნველყოფს 7.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანაინვესტირებით და გაუწევს მათ ტექნიკურ დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტული დარგების გაძლიერებასა და ამ დარგების ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. „**USAID**-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა“ შედგება ორი ინტეგრირებული, ურთიერთდამოკიდებული კომპონენტისგან, რომლებიც მიმართულია ღირებულებათა ჯაჭვის პრიორიტეტების განსაზღვრისა და რისკების შეფასებისკენ, რაზეც დამოკიდებულია შემოსავლების ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მცირე და საშუალო საწარმოების მდგრადი განვითარება. პროგრამა ორიენტირებულია მხოლოდ შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვების (კენკროვანი კულტურები კივის ჩათვლით, მწვანილი, კურკოვანი ხილი, თესლოვანი ხილი (ვაშლი), მალფუჭებადი ბოსტნეული, მანდარინი, სუფრის ყურძენი, კაკალი, ფსტა და ნუში) ხელშეწყობაზე.

საიტერესო პრეზენტაცია წარმოადგინა თი ბი სი ბანკის ბიზნეს სეგმენტის მართვის ლიგის ლიდერმა **ვეფფხია ლომინეიშვილმა.**

თიბისი ჩართულია სახელმწიფო პროგრამებში „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ (ითვალისწინებს სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას სახელმწიფოს მიერ) და „საკრედიტო საგარანტიო სქემა“ (სახელმწიფოს მიერ გაიცემა გარანტია თითოეული სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნების ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად). გარდა სტანდარტული საკრედიტო პროდუქტებისა თიბისიმ აგრობიზნესის მხარდაჭერის მიზნით 2016 წელს შექმნა ინოვაციური პროდუქტი, რომელიც აგროსტარტ-აპებისთვისაა განკუთვნილი და მოიცავს გრძელვადიან საშეღავათო პერიოდს. თიბისიმ უკვე დააფინანსა 250-მდე სტარტაპი. ინვესტიციის საერთო მოცულობა 70 მილიონ ლარს აჭარბებს. აგრობიზნესის მხარდაჭერით მიზნით თიბისიმ 2021 წლის სამეურნეო სეზონის დასაწყისში შექმნა აგრო ბარათი, ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტით. ფერმერებს არ მოუწევთ ყოველი წლის დასაწყისში ბანკში მისვლა და ერთხელ დამტკიცებულ ლიმიტს ოთხი სამეურნეო წლის განმავლობაში გამოიყენებენ. ეს კი მათ საშუალებას მისცემთ მომდევნო წლისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები აგროვადების დაცვით დროულად განახორციელონ. თიბისის სერვის ცენტრები განთავსებულია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში.

– თი ბი სი ბანკმა 260 პროექტი დაუფინანსა ფერმერებს და გასცა მათზე 80 მილიონი ლარის კრედიტი. ამ კრედიტების საშეღავათო პერიოდი 5 წელია. კენკროვანი კულტურების გასაშენებლად მიწების შესაძენად დაფინანსდა 141 პროექტი და მათზე გაიცა 23 მილიონი ლარი- აღნისნა ლომინეიშვილმა.

ფორუმზე ბევრი ციფრობრივი მონაცემები მოიყვანეს ინვესტიციების შესახებ.

5 სანარგე მეურნეობა დაფინანსდა 710 000 ამერიკული დოლარით; შპს „ლურჯი მოცვი“ –187 000 ამერიკული დოლარით; 9 სამაცივრე მეურნეობა დაფინანსდა 2 050 469 ამერიკული დოლარით და ა.შ.

იყო საუბარი სურსათის უვნებლობის **HASSP** და **ISO** 22 000სტანდარტების დანერგვაზე და სერთიფიცირებაზე.

შემდეგ ჩაის ქართული ბრენდი „გურიელის“დირექტორი, ფორუმის მოდერატორი **მიხეილ ჭკუასელი** გაუძღვა პანელურ დისკუსიებს თემებზე: კენკროვანი კულტურების განვითარება: კენკრის სექტორის საექსპორტო პოტენციალი.

პარლამენტის აგრალური კომიტეტის თავმჯდომარის **ნინო წილოსანის** თქმით წინა წლებში ფაროსანამ გვაჩვენა, თუ რისკების მატარებელია მონოკულტურები. გურის საქართველოში მესამეა კენკროვანების წარმოების მხრივ.

ნინო წილოსანის თქმით გურიის რეგიონსი ტყის მდგრადი მართვისათვის 33 მილიონი ლარი დაიხარჯება.

„კლანტატორობა დაბრუნდა?“

ალიონი. „პლანტატორობა დაბრუნდა?

ორი კვირა გავიდა და ანაზღაურება ჯერ არ გაუციათ.

დაბა ლაითურში მოცვის პლანტაციაში სიცხეში მომუშავე ადამიანები ორ კვირაზე მეტია ანაზღაურებას ელოდება.

ბევრი ჩემი ნაცნობი თუ ახლობელი მუშაობდა დასახელებულ ტერიტორიაზე და საყვედური გამოთქვა შეწუხებულმა ადამიანებმ: „გვამუშავეს აუტანელ სიცხეში და ფულს არავინ იძლევა“ „როდის იქნება არც ის ვიცითო“.

სამუშაო ადგილები თუნდაც დროებითი კარგია მაგრამ ადამიანებს ანაზღაურება არ უნდა მოუწიოს?

ვფიქრობ მოქალაქეები ვერ იცავენ საკუთარ უფლებებს. მეწარმე კი გულგრილად დუმს“ –წერს გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძე** საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

–ჩემი ახლობელი მუშაობდა. 24 წლისაა, პატარა ბავშვი სახლში ჰყავდა დატოვებული. სხვა ლიხაურელებიც იყვნენ. იცით როგორი რთული და შრომატევადია მოცვის პლანტაციაში მუშაობა. ზოგმა 10 დღე იმუშავა, ზოგმა ნაკლები. 25-26 ივნისს უნდა მიელოთ ანაზღაურება. დღემდე არ აუღიათ . დასაქმებელი კომპანია „ლურჯი ველი“ იყო.–გვითხრა სატელეფონო საუბარში ირმა გორდელაძემ.

ვინაიდან კომპანიის ხელმძღვანელებს ვერ დავუკავშირდით, სოციალურ ქსელში **GROFAGE**-ზე 2019 წლის 12 ივლისის გამოქვეყნებული ეს ინფორმაცია მოვიპოვეთ:

„კომპანია „ლურჯი ველი“ ოთხ კომპანიას აერთიანებს (შპს „მოცვი“, შპს „ქართული მოცვი“ და შპს „ჯეიბერი“), რომლებიც ოზურგეთის რაიონში მოვლა-მოყვანის ერთნაირი ტექნოლოგიით მაღალხარისხიან ლურჯ მოცვს აწარმოებენ. ერთიან მენეჯმენტს კომპანია „ლურჯი ველი“ ახორციელებს.

როგორც კომპანია „ლურჯი მოცვის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან ლებანიძე მოგვითხრობს, – *საქართველოში მოცვის მოსავლის აღების სეზონი სრულდება. წლეულს პირველი კომერციული მოსავალი მივიღეთ,დაახლოებით – 65 ტონა კენკრა. ლურჯი მოცვის სამი ძირითადი ჯიში: „ლეგასი“, „ონილი“ და „დიუკი“ მოგვყავს, თუმცა ბოლომ დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ პირობებში არ გაამართლა. მართალია შესანიშნავი გემო კი აქვს, მაგრამ ადგილობრივი კლიმატი მცენარეს სრულყოფილად განვითარების საშუალებას არ აძლევს. მოწეული კენკრის 100-ვე პროცენტი ექსპორტზე გაგვაქვს. ამ წლეულს შუამავლის მეშვეობით 10% ევროკავშირის ბაზარზეც გავიდეთ, დანარჩენი რუსეთში გავიტანეთ, სადაც ფასი საკმრისად კონკურენტული იყო.*

ამ დროს ევრო-კავშირის ბაზარი კილოგრამ ლურჯ მოცვში §8 იხდიან,რუსეთის ბაზარზე ექსპორტიორები კილოგრამს პლანტა-ციიდანვე 6,5 $ ყიდულობდნენ. 25 ივლისიდან ფასები 2-3$-მდე დაეცა, თუმცა ჩვენ კენკრა უკვე მთლიანად გავყიდეთ–წერს **AGROFAGE.**

მოგვიანებით გაზეთ „ალიონთან“ აღნიშნულ თემაზე კომენტარი კომპანია „ლურჯი ველის“შენეჯერმა **გია ხუჭუამ** : – *ჩვენი კომპანია ყოველთვის უხდის დასაქმებულებს ხელფასს. ასეა ახლაც. წელს საკმაოდ კარგი წელი გვქონდა, 100 ტონამდე ლურჯი მოცვი მოვკრიფეთ. მკრეფავებს მუშაობის დაწყებამდე ავუხსენით, რომ ანაზღაურებას მოსავლის აღების შემდეგ გადაეუხდიდით. გუშინ (11 ივლისი) დავასრულეთ კრეფა. 200 კაცამდე მუშაობდა კრეფაზე. ახლა სახელალტრო სახეთების მოშზდება ხდება და კვირის ბოლომდე მოვრჩებით. ყველა მიიღებს მის კუთვნილ ანაზღაურებას* –გვითხრა ხუჭუამ.

ლია ფეჩრილი

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტში, ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო! საქართველოს პარლამენტში თქვენ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა გიკავიათ. აგრარული სექტორი ჩვენი ქვეყნის-ათვის ჯერ კიდევ ყველაზე მტკივნე-ული პრობლემაა. უკანასკნელ წლებში, მიუხედავად გატარებული სერიოზული ღონისძიებებისა და რეფორმებისა, ქვეყნის მოსახლეობა საკუთარი წარმოების-სამეურნეო სამ-ომხმარებლო პროდუქციით მხოლოდ 20-25%-ით იკმაყოფილებს მოთხოვნილებას, 70-80% უცხო ქვეყნებიდაა იმპორტირებული, რაშიდაც ყოველწლიურად რამდენიმე ასეული მილიონობით დოლარი გაედინება. პანდემიისა და სიდუხჭირის პირობებში სოფლის მოსახლეობა უმძიმეს პირობებში ცხოვრობს. სოფლები დაცლილია ახალგაზრდებისაგან. მიმდინარე 2021 წლის გაზაფხულზე დაუთესავი დარჩა რამდენიმე ასეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. თუ ასე გაგრძელდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონა, უკაცრიელ ტერიტორიად გადაიქცევა. რაც შეეხება მრავალწლიან კულტურებს: ჩაის, ციტრუსებს, დაფნას, კენკროვნებს და სხვა მათ მეტად სასიცოცხლო ფუნქცია შეიძინეს ბოლო ათწლეულში. ჩვენ მივესალმებით ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს როგორიცაა „დანერგე მომავალი, „იაფი აგროკრედიტი“, აწარმოე საქართველოში“, „ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა“ და სხვა, რამაც სერიოზული აღმავლობა მოუტანა ჩვენს ბენეფიციარებს, თუმცა ჯერ-ჯერობით აგრარული სექტორი წელში მაინც ვერ გაიმართა.

მიზეზი ბევრია. ჩვენის აზრით ძირითადი მაინც ჩვენი პირობებისათვის ნაკლებად შესწავლილი, გამოუცდელი უცხოური ტექნიკისა და ტექნოლოგიების მექანიკურად გადმოტანა და დანერგვაა, ამასთან ჩვენი მეწარმეები ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული თითოეული საკითხის ღრმად და მეცნიერულად შესწავლა-დასაბუთებაში. ამის ნათელ მაგალითს გასული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს: ჯერ იყო და ჩაის ნარგაობა სპონტანურად ამოძირკვეს და თხილი გააშენეს, შემდეგ თხილის ნარგაობას მავნებელ (აზიური ფაროსანა) დაავადებათა გამო პრობლემები შეექმნა, რამაც ნარგაობის ნაწილობრივ ამოძირკვა და ლურჯი მოცვის გაშენება დაანონსა. დღეს სუბტროპიკულ ზონაში ლურჯი მოცვის ბუმია, რაშიდაც სახელმწიფო დაფინანსების სახით (100-%-იანი) უამრავ სახსრებს ხარჯავს. ეს პროცესიც ხომ ერთგვარი გატაცებაა, მაშინ როდესაც ამ კულტურით ჩვენი წითელმიწა რეგიონების მაქსიმალური ათვისება მეცნიერულად, ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და ფინანსურად შესწავლილი და დასაბუთებული არაა. ხომ არ მოგვიწევს შორეულ პერსპექტივაში ლურჯი მოცვის ნარგაობის ამოძირკვა და ისევ ჩვენი ტრადიციული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, თხილი და სხვა) გაშენება?

ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომგებიანი კულტურების გაშენების და ექსპლოატაციის, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ლურჯი მოცვი არც ისე იოლი მოსავლელი და სარეალიზაციო კულტურა ყოფილა. განსაკუთრებით მოსავლის აღებისა და რეალიზაციის პერიოდში (ივნისი, ივლისი, აგვისტო), როდესაც საჭიროა მაქსიმალური მუშახელის მობილიზაცია და უდანაკარგოდ ნაყოფის საექსპორტო რეალიზაცია, რაც დაკავშირებულია მუშახელის დეფიციტთან და სხვა სიძნელეებთან. იმ ზონებში სადაც ლურჯი მოცვის ნარგაობაა, აუცილებელია გვქონდეს ჩაის, ციტრუსების, დაფნის და სხვა კულტურების სამრეწველო პლანტაციებიც, რათა მოსახლეობა მთელი წლის განმავლობაში იყოს დასაქმებული და ჰქონდეთ გარანტირებული შემოსავალი. ამიტომ ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით მონოკულტურის გაფეტიშების. აუცილებელია კულტურათა შეთანაწყობის პრიციპებზე ავაგოთ სუბტროპიკული ზონის მეურნეობა, ამისათვის კი საჭიროა, როგორც ხელისუფლებამ, ისე კერძო სექტორმა მოუსმინოს მეცნიერების რეკომენდაციებსა და მითითებებს.

ქალბატონო ნინო, როგორც არასდროს დღეს ჩვენს სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკებს ესაჭიროებათ ხელისუფლებისა და მეცნიერების გვერდში დგომა და დახმარება. უპირველეს ყოვლისა კი აუცილებელია სოფლის მეუნეობის მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და სოფლის მეუნეობის სამინისტროს კოორდინირებული საქმიანობა. სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებისადმი მეტი ხელშეწყობა და უკეთესი ფინანსური უზრუნველყოფა.

ქალბატონო ნინო, 2014-2015 წლებში თქვენ როგორც ახალგაზრდა ბიზნესმენი პირადად იყავით დაინტერესებული გურიის რეგიონში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციითა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების ზრდით. იმედია, დღეს როდესაც თქვენ პარლამენტში ხელმძღვანელობთ აგრარულ საკითხთა კომიტეტს, შეგწევთ უნარი სუბტროპიკულ ზონაში მთელი რიგი პროგრესული სახელმწიფო რეფორმების შემუშავებისა და ამოქმედების, რაც ამ ზონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ქვეყნის განვითარების სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

პატივისცემით,

ზაურ გაბრიჩიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

პური გაძვირდა

ერთ-ერთ მარკეტში ასაკოვანი ქალბატონის შეწუხებულ საუბარს შევესწარი. მარკეტის მომსახურე პერსონალს მიმართავდა:

– ნენა, არ იფიქროთ, თქვენ რაიმეში გადანაშაულებთ, მაგრამ რას ვიქრობენ ეს ბიზნესმენები, რამდენს გაუძლებს ეს ხალხი... წამლები ყოველთვიურად ძვირდება. ხედავთ 4-ლარიანი ზეთი 10 ლარამდე ღირს, ასეა სხვა სასურსათო პროდუქტებიც, მაგრამ პური? ჯერ წონაში მოაკლეს, ახლა ფასი მოუმატეს. უპუროთ რა უნდა ვქნათ, თუ არა ასეტრინას და ხიზილალას ვერც კომუნისტების დროს ვყიდულობდი. რამდენს გაწვდება ჩვენი პენსია, რამდენს? –ამბობდა იგი.

მაღაზიის თანამშრომლები ამშვიდებდნენ აღელვებულ ქალბატონს და უხსნიდნენ, რომ ფქვილის ფასი მაღალია, ბუნებრივი აირი გაძვირდა და ამ და სხვა ფაქტორების გამო გაძვირდა პური.

წინა დღით ვასაძის „ბატონი“ ვიყიდე და ფასი მხოლოდ 5 თეთრით ჰქონდა მომატებული, ამიტომ აქაც იგივეს ვფიქრობდი, მაგრამ მოვტყუვდი..აქ ფასი 20 პროცენტზე მეტით იყო მომატებული.

440 გრამიანი ეკონომბატონი „იფქლი“, რომელიც ზოგ მაღაზიაში 65 თეთრი, ზოგან 70 თეთრი ღირდა, ახლა იგი 15 თეთრითაა გაძვირებული და 80-85 თეთრი ღირს. „ეკობატონი“ (დაჭრილი) 75 თეთრიდან 90 თეთრამდეა გაძვირებული; „იფქლი“ (დაჭრილი) –1 ლარი; 420 გრამიანი რუხი პური–ახლა 1 ლარი,75 თეთრი; ლიტვური ცეხვილი პური (350 გრ.) –1 ლარი, 75 თეთრი; „სვეიკასი“ (750 გრ.)–3 ლარი 65 თეთრი; „საულე“ (750გრ.) –3 ლარი 65 თეთრი; პრემიუმ კლასი (პური მზესუმზირით, 400 გრ.) –2 ლარი, 80 თეთრი.

–პური ჩვენი არსობისა აღარ გვაქვს –ჩაილაპარაკა იმ ქალბატონმა და მაღაზია დატოვა...

ალიონი 90

1938 წელი

„სალტე“ ლიხაურში

7 აპრილს, საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით, მახარაძის სახელმწიფო თეატრმა ადგილზე უჩვენა ლიხაურელ კოლმეურნეებს პ. სამსონიძის პიესა „სალტე.“

მიუხედავად ცუდი ამინდისა, ადრე, სპექტაკლის დაწყებამდე, კლუბი გაჭედილი იყო კოლმეურეებით. ყველა ისწრაფვოდა ენახა თვის სოფელში მახარაძის სახელმწიფო თეატრის დადგმა.

„სალტე“-ს შინაარსი ახლობელია კოლმეურნეთათვის. მაყურებლები ხედავენ სცენაზე მხატვრულ სახეებში მოცემულ კოლმეურნეობის ბრძოლას უცხო ელემენტების წინააღმდეგ.

კულაკების ყოველი სიტყვა ზიზღს და აღშფოთებას იწვევს მაყურებელში, ხოლო მოწინავე კოლმეურნეთა ბრძოლა ამ მუქთახორების წინააღმდეგ –დიდ აღტაცებას.

სპექტაკლი მთავრდება კოლმეურნეთა სრული გამარჯვებით კლასობრივ მტერზე.

სპექტაკლის ფინალს მაყურებლები ოვაციებით ხვდებიან.

ამ სპექტაკლის ნახვამ აღფრთოვანა მშრომელები, შეჰმატა მათ ახალი ძალა და ენერგია კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის, კლასობრივი მტრის ნაბოლარების საბოლოო მოსპობისათვის.

გრა

№28, 14 აპრილი, 1938 წ.

ანტირელიგიური პროპაგანდა ძალზე მოისუსტებს

არა ერთი სიგნალი მიგვიცია **უღმერთოთა რაიონული კავშირისათვის („მუკი“)** გამოეცოცხლებინა მუშაობა, ფეხზე დაეყენებინა „მუკის“ პირველადი ორგანიზაციები და გაეძლიერებინა ანტირელიგიური პროპაგანდა, მოეწყოთ კარნავალი და სხვ. მაგრამ არც ერთი ნაბიჯი ამ მხრივ მათ მიერ არაა გადადგმული.

რა გააკეთა **„მუკის“** ორგანიზაციამ ანტისაღდგომო კამპანიის ჩატარების საქმეში? არსად, არც ერთ წარმოება-დაწესებულებებში არ ჩატარებულა ანტირელიგიური ხასიათის საუბრები, საჭირო კი იყო მოეწყოთ მოხსენებები, მაგალითად: „მართლაც აღსდგა თუ არა ქრისტე?“„ქრისტიანობა და ეკლესია“, „რელიგია მეცნიერებათა სამსჯავროს წინაშე“ და სხვ.

განსაკუთრებით ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლერება საჭიროა ამ ჟამად, რადგან კონსტიტუციის ერთი მუხლი, რომელიც აღიარებს სარწმუნოების თავისუფლებას, რელიგიის მსახურთა ნაშთების მიერ გაგებულ იქნა ისე, თითქოს აღსდგა რელიგია. ისინი შეეცადნენ ანტირელიგიური პროპაგანდისთვის დაეპირისპირებიათ რელიგიური „პროპაგანდა.“სასტიკად უნდა ვებრძოლოთ მოსახლეობაში რელიგიური ტრადიციების გამოცოცხლებას.

ანტირელიგიურ პროპაგანდაში სუსტია არამარტო უღმერთოების, არამედ პარტორგანიზაციების მუშაობაც. განსაკუთრებით ეს ითქმის კომკავშირის ორგანიზაციების შესახებ.

ანასეული. ლაბარანტი ფატი სალუქვაძე ცდის დროს ქიმიურ ლაბორატორიაში.

აღდგომის მოახლოებასთან დაკავშირებით მათ არაფერი გაუკეთებიათ. ანტირელიგიური პროპაგანდის მივიწყებამ გამოიწვია ძველი, რელიგიური ხასიათის ზნეჩვეულებების გამოცოცხლება. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შოთელიძე გვწერს: „მთელ რიგ სოფლებში ადგილი აქვს მკითხაობას (სოფ. ოზურგეთი, ზვანი, ახალსოფელი), აგრეთვე ადგილი აქვს გარდაცვალ-ებულთა დასაფლავების დროს ქელეხს (შრომა, ნაღობილევი, ზვანი და სხვ.)ამ სოფლებში კ.კ. ორგანიზაციები „ელოდებიან“ მომხსენებელს და -მოსაუბრეებს რაიონიდან. ისინი ახლო მდგომ კულტურულ ძალებს არ იყენებენ ანტირელიგიური საუბრების ჩატარებისათვის. ზოგიერთ ადგილას დაკმაყოფილდნენ მხოლოდ „მუკი“-ს ფორმალური ჩამოყალიბებით (შემოქმედი, დვაბზუ).

.აქედან უნდა გავშალოთ მუშაობა, რათა აღმოვფხრათ ზემოხსენებული მავნე განწყობილებანი და ანტირელიგიური საქმიანობა დავაყენოთ შესაფერის დონეზე.

№30, 30 აპრილი, 1938 წ.

საქალაქო მეურნეობა

...მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული საქალაქო მეურნეობაზე. ამიტომ საქალაქო მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა სერიოზული ამოცანაა, რომელიც ბოლშევიკურად უნდა გადავჭრათ.

რაიონს დღემდე არ ჰქონდა ხეირიანი შენობა თეატრისათვის. ახლა ეს ნაკლი გამოსწორებულია. დაკვრითი წესით იქნა აშენებული მუშათა ცენტრალური კლუბი, რომელიც მაისიდან გავიდა ექსპლოატაციაში. ასევე ითქმის კინოთეატრის შესახებაც, რომლის მსენებლობა დამთავრებულია და ახლა სწარმოებს მისი შინა მოწყობილებათა (საჯდომები, ელნათურები და სხვ.) ორგანიზაცია.

ქალაქს დღემდე არ გააჩნდა წყალსადენი. ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია. წყალსადენის მშენებლობა უკვე 50 პროცენტით შესრულებულია. საავადმყოფოს არ გააჩნდა შესაფერისი შენობა, უკანასკნელი ხშირ რემონტს საჭიროებდა და ამავე დროს შეუფერებელი იყო სამედიცინო თვალსაზრისითაც. მთავრდება ორსართულიანი შენობის აგება საავადმყოფოსათვის, სადაც მშრომელებს მოემსახურებიან უკეთეს პირობებში, ვინემ დღემდე იყო.

მაისიდან გავა ექსპლოატაციაში აბრეშუმის ფაბრიკების მუშათა საერთო საცხოვრებელი, ორსართულიანი შენობა, რომელიც არაც თუ რაიონულ ცენტრების, არამედ დიდი ქალაქების სახლებსაც არ ჩამოუვარდება ტექნიკური მოწყობილობის, მოცულობის და სილამაზის მხრივ. აშენებულ იქნა და 1-ლი მაისის დღესასწაულზე გაიხსნა საბავშვო ბაგა, რომელზეც დაიხარჯა 120 ათასი მანეთი.

დაწყებულია და გაცხოველებით მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალური ქუჩების კეთილმოწყობა. ქალაქის ცენტრში მთავარი ქუჩები (ბერიას, მახარაძის, კიროვის და სხვ.) გაფართოებულ იქნა და მათ გასწვრივ მოეწყო გაზონები, კეთდება ტროტუარები. გამწვანებისთვის ამ გაზაფხულზე დარგულ იქნა 10 ათასი ძირი მარადმწვანე მცენარე.

ცხადია ამ მიღწევებს ჩვენ ვერ დავჯერდებით. მახარაძე უნდა გადავაქციოთ ყოველმხრივ კეთილმოწყობულ ქალაქად ჩაის და ნარინჯოვანთა ბაღნარს რომ შეეფერება –ასეთია ბოლევიკური ამოცანა, რომლის წარმატებით გადაჭრისათვის ენერგიულად იბრძოლებს ქალაქის საბჭო და მისი თითოეული დეპუტატი.

გადაუდებელ ამოცანად ვისახავთ სახ. თეატრის შენობის დამთავრებას, იმ თეატრისა, რომლის აგება უკვე მე-4 წელია ჭიანურდება და რომლის მშენებლობა ხალხის გამომჟღავნებულმა მტერმა უგეგმოთ და უსუსტემოდ დაიწყეს. **გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯი მდ. აჭისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად,** რომელიც ქ. მახარაძეს და მის საწარმოებს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. გარდა ამისა, ახლო მომავალში აიგება მუშათა საცხოვრებლები, შენობა უნივერმაღისათვის, არასრულ საშუალო სკოლისათვის ბერიას ქუჩაზე და სხვ. წელს საქალაქო მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 20 პროცენტით იმაზე მეტი, ვიდრე შარშან.

ინჟ. **ვ. ტაკიძე**

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე

№32, 1 მაისი, 1938 წ.

როგორ ვცხოვრობთ ჩვენ

შრომის კოლმეურნეთა წერილი უკრაინელ კოლმეურნეებს, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში,“„ზარია ვოსტოკაში,“ და „სოვეტსკაია უკრაინაში“

(იბეჭდება შემოკლებით)

დიდი ყურადღებით და ინტერესით ვკითხულობთ გაზეთში ჩვენ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოძმე რესპუბლიკაში უმაღლესი საბჭოს არჩევნების სამზადისი. ჩვენ ყოველდღიურად ვეცნობით იმ წარმატებებს, რომელსაც მიაღწიეს სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების ხალხმა კომუნისტური პარტიის, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშის ქვეშ.

ამჟამად ქართველი ხალხი ემზადება უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. ჩვენს კოლმეურნეობაში ცოტა ხნის წინ ჩატარდა მრავალრიცხოვანი მიტინგი მიძღვნილი არჩევნების სამზადისისადმი...

ჩვენ აგვეძრა სურვილი მოგითხროთ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ და „სოვეტსკაია უკრაინის“ ფურცლებიდან თქვენ აყვავებული უკრაინელი კოლმეურეებს, თუ როგორ ვცხოვრობდით წინათ და როგორ ვცხოვრობთ ახლა, როგორ ვემზადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის.

შავი ზღვის სანაპიროების ახლოს მთების დაქანებულ ფერდობებზე ფართედ გადაშლილია ჩვენი სოფელი –შრომა. სახელწოდება „შრომა“ აღებულია სიტყვა შრომიდან. ჩვენი სოფლის ჰავა სუბტროპიკული და სასარგებლოა, ნიადაგიც მდიდარია. აქაურ მიწაზე ხარობს ჩაის ბუჩქი, ციტრუსების მცენარე, ტუნგო, ვენახი, ხეხილი და სხვა კულტურები.

ჩვენი მიწა-წყალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიფურჩქნა.

წყეული იყო ძველი დრო, როცა ჩვენზე ბატონობდნენ თავადაზნაურები, მემამულეები. მაშინ აქ მხოლოდ პრიმიტიული წესით სიმინდისა და ღომის კულტურას მისდევდნენ. მძიმე იყო მაშინდელი ჩვენი ცხოვრება.უკრაინის ცნობილი პოეტი ტარას შევჩენკო თავის უკვდავ ლექსში, რომლებიც გადმოთარგმნილია ქართულ ენაზე, ნათლად გვიხატავს უკრაინელი გლეხის ყოფა-ცხოვრებას ძველად, მის უუფლებობას, დაბეჩავებას ცარიზმის დროინდელ პირობებში. ასევე საცოდავი იყო ჩვენი ცხოვრებაც მაშინ. ძველ დროს ჩვენს სოფელში კარგად ცხოვრობდა 25-30 და ისიც თავადაზნაურთა ოჯახი. დიდი სივრცეების მიწებს ფლობდნენ აქაური მემამულეები: ნაკაშიძე, გურიელი, ბოლქვაძე. ისინი ფლობდნენ როგორც მიწებს, ისე ჩვენს, გლეხთა ცხოვრებას, ჩვენი ცოლშვილის სვებედს. ახლაც არიან იმის მომსწრეები, თუ როგორ მიჰყიდა თავად გურიელმა თავის მახლობელ აზნაურს მისი მამულის ერთი უბანი, რომლიდანაც აჰყარა ათი კომლი გაძვალტყავებული გლეხი, რომლებთაც ამ მიწებზე ქონდათ უბრალო ქოხმახები და დატოვეს ისინი ცის ქვეშ...

ასე ვცხოვრობდით ძველად.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ბევრი რამ გამოიცვალა. ვერც კი იცნობთ ჩვენს სოფელს. იგი გახდა ლამაზი, კულტურული. იქ, სადაც წინათ გაუვალი ბარდ-ეკლებით და უსარგებლო ტყით მოფენილი მიდამოები იყო, სადაც ჭაობი მხოლოდ მალარიის ბუდეს წარმოადგენდა,ახლა გადაშლ-ილია კოლმეურეობის ჩაის, მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის, ვენახის, სხვა და სხვა ხეხილების ახავერდებული ბაღნარი..

ახლა ჩვენ გვაქვს 5 სკოლა, სადაც სწავლობენ ჩვენი სოფლის ბავშვები. 69 ახალგაზრდა, ჩვენი კოლმეურეების შვილები სწავლობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენი სოფლის ყოფილი ღარიბებიდან გამოვიდნენ: სამი ექიმი, ორი აგრონომი, სამი ინჟინერი, ორი ეკონომისტი, გეოლოგი, 41 მასწავლებელი.

ჩვენ გვაქვს კლუბი, გვყავს საკოლმეურნეო გუნდი კოლმეურნე რემანოზ მჟავანაძის ხელმძღვანელობით. გვაქვს საკუთარი კედლის გაზეთები. გვყავს დრამატული წრე, რომელსაც გრიშა ქადეიშვილი ხელმძღვანელობს...გვაქვს რადიო. თითქმის ყველა ოჯახში პატეფონი უკრავს. 1937 წელს ჩვენს სოფელში აშენდა 45 ორსართულიანი სახლი 5-6 ოთახით. ყოფილი ღარიბები კანელიკე ქვილორია, იაკინთე ევგენიძე, ვალიკო ხომერიკი, გრიგოლ ქვილორია, ბენია ქარჩავა, ბარნაბ ტურუში და ბევრი სხვა დიდი ხანია გამოემშვიდობენ თავიანთ ღარიბულ ქოხებს და ცხოვრობენ განიერ, სინათლით გაბრწყინებულ ბინებში.

უდიდესი აღფრთოვანებით ვემზადებით საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. ჩვენს კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია 45 საგიტაციო წრე. ყველა კოლმეურნე გულმოდგინეთ სწავლობს ლენინურ-სტალინურ კონსტიტუციას და საარჩევნო კანონს...

საარჩევნო კამპანიის მზადებისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე ავიღეთ ვალდებულება გეგმის ზევით წელს მოვკრიფოთ 13 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 4 მილიონი ცალი მანდარინი, 1 ჰექტრიდან საშუალოდ მივიღოთ 1,5 ცენტნერით მეტი სიმინდი.

ჩვენ ვისურვებდით, რომ უკრაინელი კოლმეურნეებიც გვიამბობენ თავიანთ მიღწევებზე და ავრეთვე, თუ როგორ ემზადებიან ისინი უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, როგორ ცხოვრობენ და როგორ იბრძვის უკრაუნელი კოლმეურნე გლეხობა ახალ-ახალი მიღწევებისათვის.

(წერილს ხელს აწერენ შრომის კოლმეურნეობის წევრები)

№34, 5 მაისი, 1938 წ.

ექსკლუზივი

ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ გაზ. „ალიონი“ №№ 34-36 2020 წ. №№ 1-14, 2021 წ

— ნინა ხარიტონოვნა, რაიმე ახალი ინფორმაცია ხომ არ არის? ფოსტა მოვიდა?

— ფოსტა თქვენს მაგიდაზეა, ახალი ინფორმაციის მეტი რა არის, მაგრამ განსაკუთრებული არაფერია.

— კაპიტოს „პეჩენიები“ ხომ არ მოუტანია? — ჩაიღიმა პროკურორმა და კაბინეტის კარი გააღო.

— „პეჩენიებს“ ხაჭაპურით შევცვლი, თუ არ „განჯვარდება“ უფროსიო, მითხრა, როცა ამ საქმეს მორჩება, მეგობრები პურმარილს ვიხდითო.

— ცოტა დარჩა საქმის დასრულებამდე, ხარიტონოვნა, მერე სასამართლო და ვფიქრობ, 9 თვეში ჩავეტევით. ყურძნის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს, დავწურავ და შვებულებაში გავალ. კი არ დავიღალე, გადავიღალე, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის.

— ერთი სახალისო ამბავი მითხრეს და, თუ გნებავთ, გეტყვით, შეიძლება უკეთეს ხასიათზე დადგეთ.

— აბა, მითხარი, — შედგა კაბინეტის შესასვლელთან.

— თქვენი მეგობარი რომ არის, აღმასკომის თავმჯდომარე აკაკი მშვიდობაძე, იმას შეემთხვა. მოგიყვეთ?

— გისმენ, ნინა ხარიტონოვნა.

— მოკლედ, აკაკის მოგვარე რომ არის ლერი, რაიკომში რომ მუშაობს, ხომ იცით? ის სახლს აშენებს და ხრეში დასჭირვებია. დაურეკავს საგზაოს დირექტორის თვის და უთხოვია ერთი მანქანა. იმას უთქვამს, შეიძლება ამ კვირაში ვერ მოგიტანოთ, გადატვირთული რეჟიმით ვმუშაობთო. დაურეკავს მეორესთვის, იმასაც ასე უთქვამს, მესამეც ანალოგიურად მოქცეულა. შეწუხდა თურმე კაცი, მუშები ჰყავდა სახლში. მეორე დღეს აკაკი გრიგორიჩის მისაღებში ერთი საშინაოდ ჩაცმული კაცი მისულა და მდივნისთვის უთქვამს, მშვიდობაძესთან მაქვს პირადად საქმეო. შესულა მდივანი აკაკისთან და უთქვამს სტუმრის შესახებ. მოხსენებას წერდა, პლენუმზე სიტყვით უნდა გამოსულიყო. შემოვიდესო. ჩაცმულობა არ მოწონებია სტუმრისა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— აკაკი გრიგორიჩ, — პირდაპირ საქმეზე გადასულა სტუმარი, ხრეში მოვიტანე და სად დავყაროო. გაოცებულა გრიგორიჩი, შეგეშალა, შვილოოო, უთქვამს.. არა, ბატონო, მითხრეს, აკაკი გრიგორიჩს მიუტანეო. გრიგორიჩს ძლივს დაურწმუნებია სტუმარი, რომ ხრეში არავისთვის უთხოვია და ეს მხოლოდ გაუგებრობა იყო.

ერთ საათში მისაღებში კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი მისულა და აკაკი გრიგორიჩთან შესვლა უთხოვია. ისევ შესულა გრიგორიჩთან მდივანი, ესა და ეს კაცი თქვენთან შეხვედრას ითხოვსო. არც სახელი ეცნო და არც გვარი თურმე, მაგრამ შემოვიდესო, უთქვამს. შეუწყვეტია მოხსენების წერა. ისევ უცნაურად ჩაცმული კაცი შესულა, არც დამჯდარა, ისე უთქვამს, ხრეში მოვიტანე და სად დავყარო, ბატონოო. გადარეულა კაცი, შეულანძღავს სტუმარი. ისიც განაწყენებული წასულა, მე შოფერი ვარ და რაც მითხრეს, ის გავაკეთეო.

მერე გრიგორიჩს მდივნისთვის უთქვამს, მოხსენებაზე ვმუშაობ და არავინ შემოუშვა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ხრეში აქვს მოტანილიო. შესვენებამდე ერთი საათით ადრე, მისაღებში შოფრულად გამოწყობილი შუა ხნის კაცი გამოჩენილა, მასაც თავმჯდომარესთან შესვლა უთხოვია. რა საკითხზე ხართ აკაკი გრიგორიჩთან? — უკითხავს მდივანს. ხრეში მოვიტანეო. გადარეულა მდივანი, მაგ საკითხზე ვერ შევალ უფროსთანო. თქვენ თუ ვერ შეხვალთ, მე შევალ, ამდენი დრო არ მაქვსო და შეაჭრა თურმე გრიგორიჩთან. თქვენ, ალბათ, ხრეში მოიტანეთო, პირდაპირ უთქვამს ბატონ აკაკის, კი, ბატონო, სად დავყაროო? ვინც გამოგატანა, იმას დააყარე თავზეო და გაუგდია ოთახიდან. შემდეგ დაფიქრებულა და თავისი მოგვარისთვის დაურეკავს, შენ, კაცო, სახელი არ გაქვსო? — უკითხავს და გაბრაზებულს დაუკიდია ყურმილი.

გულიანად იცინა პროკურორმა, წარმოიდგინა აღმასკომის თავმჯდომარის გაკვირვებული სახე. კაბინეტში შევიდა, მიუჯდა სამუშაო მაგიდას და მდივანმაც შემოაღო კარი, ხელმოსაწერი დოკუმენტები შემოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ 10-ის წუთები იყო, მაინც ჰკითხა, ჩაის ხომ არ დალევდა.

—ათისთვის დაიბარე ახალგაზრდები და თუ ერთ ჭიქა ლიმონიან ჩაის შემომიტან, მადლობელი ვიქნები...

ნინა ხარიტონოვნას ყოველთვის სიამოვნებდა უფროსის კარგ ხასიათზე ყოფნა, რადგან ეს ხასიათი ყოველთვის გადამდები იყო თანამშრომლებისთვის.

პროკურორი დილის ფოსტის განხილვას შეუდგა. რამდენიმე წუთში ქალაქის ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ

— გამარჯობა, ძამია.

— ოოჰ, გიას გაუმარჯოს.

გია მისი უფროსი ძმა იყო. მისი ყველა გაჭირვების თანაზიარი, უნიჭიერესი კაცი, ხელოვნების მოტრფიალე, პროფესიონალი მომღერალი. აი, ისეთი პიროვნება, რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, რა პროფესიაც უნდა აერჩია, ყველაფერში რომ მაგარი იქნებოდა...

— გილოცავ, ძამია, დღევანდელ დღეს.

— დღეს რა დღეა, გია?

— დღეს შენი დაბადების დღეა ნამდვილი. არ გახსოვს, ბებია რას გეუბნებოდა? 10 სექტემბერს დაიბადე, მარა დიაკვანმა აპრილში გაგატარა რეგისტრაციაშიო.

ჩაფიქრდა მამუკა. იცოდა ეს ყველაფერი, მაგრამ რა თარიღითაც იყო გატარებული, იმას მიიჩნევდა დაბადების დღედ.

— ხომ იცი, გია, რომ ჩვენ აპრილში აღვნიშნავთ ამ თარიღს?

— შენ არა და მე ყოველთვის აღვნიშნავ, შენ მაგისთვის არ გცალია. დღეს, როცა საქმეს მორჩები, ოთხი-ხუთი კაცი წამოიყვანე და ამოდი სახლში. ის სახლი მხოლოდ ჩემი არ არის, შენიცაა, არავის დაგახვედრებ, დათიკოს ვუთხარი მარტო, ჩვენი სახლიკაცია და სამი წლის სუფთა ჩხავერს ამოვიტანო, მითხრა. ღამე რომ ამოხვიდე, პირველ საათიც რომ იყოს, ამოდი, იცოდე, 7-ს მერე გელოდები და უშენოდ ლუკმას არ ჩავიდებ პირში. ბავშვებს მოენატრე ისე...

იმდენად ალალად ესაუბრებოდა, გადაწყვიტა, დასტური მიეცა. უცებ გაახსენდა ბავშვობა. ბებიას ამარად რომ იყვნენ დარჩენილი თოთხმეტი და შვიდი წლის ბიჭები. თითქოს ახლაც ყურში ესმის ბებიას ნათქვამი — გაანებე მაგ წიგნის კითხვას თავი, ბებია და ყანა გამითოხნე, საქონელი მოიყვანე, ქათმებს აჭამე, გიას მიხედე... სტუდენტობისას წერილი მოუვიდა ძმის ავადმყოფობის შესახებ, იმავე ღამეს წამოვიდა სოფელში... წერილები? რა სითბო და სიყვარული იყო იმ წერილებში ჩაქსოვილი! როგორც რელიქვია, ისე ინახება სოფელში.

— კი, გია, აუცილებლად მოვალ. რა თქმა უნდა. — ყურმილი დადო.

ტირილი მოუნდა, უპატრონოებს და უსახლკაროებს ეახდნენ, დასცინოდნენ, სკოლაში მშობლების მაგივრად იშვიათად ბებია ან მამიდა თუ მივიდოდა. ერთი თანასოფლელი შეუყვარდა ბავშვური სიყვარულით. როგორც იქნა, გამოუტყდა. პასუხად კი ის მიიღო, რომ მთელმა ოჯახმა დაიწუნა, სახლი არ აქვს, კარი არ აქვს, ერთი ძმა ჰყავს გასარიგებელი და მაგისთანა სასიძო ჩვენ არ გვინდაო. გული აუდუღდა მაშინ და გადაწყვიტა სწავლა განეგრძო...

ამ ფიქრებში იყო, როცა მდივანმა ლიმონიანი ჩაი შემოუტანა, აწითლებული და ცრემლმორეული თვალები რომ დაინახა, უნებურად ჰკითხა?

— მშვიდობა ხომაა, მამია ენვერიჩ? ამ მოკლე დროში რა დაგემართათ?

— ძალიან პირადულია, - სიმართლე უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ უთხრა. იქვე დასძინა, — ახალგაზრდა გამომძიებლებთან შეხვერა 20 წუთით გადავწიოთ, დილის კორესპონდენციების განხილვა ვერ მოვასწარი.

ნინა ხარიტონოვნა ნირწამხდარი გავიდა ოთახიდან და მისაღებში მყოფ ახალგაზრდა გამომძიებლებს აუწყა პროკურორთან შეხვედრის დროის ოცი წუთით გადაწევის შესახებ. გამომძიებლებს ენიშნათ, რომ პროკურორი ვერ იყო ხასიათზე.

უხალისოდ დაიწყო ფოსტის გადათვალიერება. თათბირის დროის მეორედ გადადება აღარ შეიძლებოდა. რამდენიმე გადაკითხული მასალა გვერდზე გადადო, ახლების გაცნობას შეუდგა და ისევ ტელეფონი აწკრიალდა:

— გამარჯობა, მამია ენვერიჩ.

ხმა ეცნო, უცებ გამოუსწორდა ხასიათი, აღმასკომის თავმჯდომარე რეკავდა.

— დილა მშვიდობისა, აკაკი გრიგორიჩ. — ესიამოვნა ამ ხმის გაგონება და ჩაეღიმა.

— გაგეცინა, კაცო და რატომ? — მახვილი სმენა ჰქონდა აკაკის.

— არა, გრიგორიც, არ გამცინებია, გამიხარდა უბრალოდ.

— ორივე იყო, ორივე, კაცო! მოკლედ, საქმე შემდეგშია: ზეგ თბილისიდან სტუმრები ჩამოდიან მინისტრთა საბჭოდან. სამი კაცი იქნება, ჩემთან, სახლში ვმასპინძლობ. არავითარი მაგრამ, შვიდ საათზე ზუსტად. თამადობისთვის შეემზადე.

ვინც აკაკი მშვიდობაძეს იცნობდა, ყველამ იცოდა მისი ხასიათი და საუბრის განსაკუთრებული ტონი.

— რა გაეწყობა, ზეგ, შვიდზე თქვენთან ვარ, ჩემგან რამე ხომ არაა საჭირო?

— არა, კაცო, ყველაფერი მაქვს. ხიზილალას შოვაზე ცოტა ქალაქვაჭრობის მმართველი შემომელანძღა. არაუშავს, ახალგაზრდა კაცია და გაითვალისწინებს.

გრიგორიჩს თავსგადახდენილი ამ ცხელი ამბავის გაგების შანსს მამუკა ხელიდან როგორ გაუშვებდა:

— რა მოხდა, აკაკი გრიგორიჩ, რა ჰქნა ასეთი?

— გაინტერესებს? გეტყვი. დავურეკე და ვეუბნები, გია, „საფანტი“ მინდა ნახევარი კილო, შავი ფერის, — ტელეფონში ვინმე ჩართული არ იყოს-მეთქი, დავაზღვიე მაინც. რა მიპასუხა, იცი? აკაკი გრიგორიჩ, მე საფანტი არ მაქვს, მარა დანამდვილებით ვიცი, მონკავშირმა მიიღო გუშინწინ და კაპიტოს რომ დაურეკოთ, თქვენ უარს არ გეტყვითო. და რა ვუპასუხე, იცი? კაპიტოს რომ შავი საფანტი აქვს, ის ბებიაშენს შეაყარე ერთ ადგილას, მე ხვალ ნახევარი კილო შავი ხიზილალა გამომიგზავნე, ფულს ახლავე ვატან მძღოლს-თქო. სწორად მითქვამს?

— ხრეშის ამბავი მითხრეს, აკაკი გრიგორიჩ და ახლა ეს. კარგ ხასიათზე დავდექი.

— ხრეშისაც გაიგე ხომ? შენ ვინ რას გამოგაპარებს. მოკლედ, ზეგ, შვიდ საათზე გელოდები, — ტელეფონი გათიშა აღმასკომის თავმჯდომარემ.

ჩაიცინა პროკურორმა, ჩაახველა და ჩაის ბოლო ყლუპიც მოსვა. მდივანმა დაურეკა, თათბირის ხალხი გელოდებათო. პროკურორის ხალისიანმა ხმამ დააბნია ნინა ხარიტონოვნა, რამდენიმე წუთის წინ საკუთარი თვალით ნახა, რა ცუდ ხასიათზე იყო, გამომძიებლებსაც კი უთხრა, ყველაფერზე ზუსტი და კონკრეტული პასუხები ჰქონოდათ პროკურორის უგუნებოდ ყოფნის გამო. ხომ არ მეშლებაო, თითქოს ჩაის ჭიქის წამოღების მიზნით შევიდა კაბინეტში, არა, არ ცდებოდა, აშკარად კარგ ხასიათზე იყო პროკურორი. მორიდებით ჰკითხა ხასიათზე მოსვლის მიზეზი. ამჯერად პროკურორმა მოუყვა მდივანს აკაკი გრიგორიჩის თავგადასავალი. ორივეს გაეცინა.

მდივანი გავიდა და ღიმილიანი სახით მიუთითა ახალგაზრდებს პროკურორის კაბინეტისკენ. თანამშრომლები ჯერ ვერაფერს მიხვდნენ, როცა კაბინეტში დასხდნენ, მთლად დაიბნენ, მათ წინ მომღიმარი მამუკა გოგუა იჯდა.

— ყველა ვართ, ხომ? ვახტანგი, რეზო, იურა, ვაჟა, ცარო. გულიკო ახალგაზრდებში არ გადის ხომ? — ღიმილით იკითხა პროკურორმა.

პროკურორის კარგი განწყობა უმალ გადაედოთ თანამშრომლებს. დეტალურად ისაუბრეს მიმდინარე საკითხებზე, მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე, ყველაფერი ვადების დაცვით მიდიოდა.

— იურა, ვაჟა, მისმინეთ, თორმეტ საათზე მარტიკიანს ამოიყვანენ და არსად გაძვრეთ, დაესწარით დაკითხვას. დღესაც ამოცნობაზე დავუყენებთ ერთ-ერთს, რომელმაც ის ნატანების სადგურში ნახა.

იური ქორიძე და ვაჟა სიორიძე განსაკუთრებით უყვარდა პროკურორს, ალბათ იმიტომ, რომ მის მსგავსად, ორივე ობლობასა და გაჭირვებაში გაზრდილი იყო.

— ნინა ხარიტონოვნამ დაგვზაფრა, ვერ არის ხასიათზე და ცოტა სერიოზულად იყავითო, — გაიკვირვა იურიმ.

— ჰო, იურა, მასე იყო, მაგრამ ადამიანი ხან ხასიათზეა, ხან კიდევ უხასიათოდაა. ჩემს ცუდ განწყობას თქვენ არ მოგახვევთ თავს. აბა, მიხედეთ საქმეს.

(გაგრძელება იქნება)

სულთათანა

შალვა გაბრიჩიძის მონატრება

ცრემლით, დარდით, ტკივილითა და მონატრებით გავიდა ერთი წელი, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლე, როგორც საუკეთესო მეუღლემ, მოსიყვარულე მამამ, ბაბუამ, უღალატო მეგობარმა და მოკეთე ადამიანმა. რამდენი ტკივილი მიაყენე შენს ასაკოვან მშობლებს, ნათესავებს და მეგობრებს. მადლობა ყველას ვინც დაგაფასა და ჩვენი ოჯახის მწუხარება გაიზიარა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია მოვიდეთ შენს საფლავთან ყვავილებით, სანთლებით, რათა გაგიხსენოთ და მოგეფეროთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. გვიყვარხარ, ვამაყობთ და ვიამაყებთ შენით.

შენი ოჯახი.

ომარ ჭანიშვილის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წავიდა ენერგოსისტემის ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს ენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი **ომარ ჭანიშვილი.**

მთელი სიცოცხლე ელექტროსისტემაში იმუშავა, გაიარა ყველა გზა – „საქენერგოს“ გურიის ქსელებიდან თბილისის სერვისცენტრის მენეჯერობამდე, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

ომარ ჭანიშვილი იყო მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი მამა, განუმეორებელი ბაბუა და უღალატო მეგობარი. იგი დააკლდა საქართველოს ენერგეტიკას, ქალაქს, ოჯახს. იცხოვრა, იმუშავა და დატოვა კაცური კაცის სახელი, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

ოჯახი.

„ვარ მუხლმოყრილი მადლობის ცრემლით“

(ლამზირი მექვაბიშვილის ხსოვნას)

ლამზირი მასწავლებელო, ჩემო ძვირფასო ლამზირი მასწავლებელო, ორმოც დღეზე მეტი გავიდა, რაც თქვენი თვალები - „ვარსკვლავების ათინათი“ აღარ შესცემცემებს სამყაროს. ათეული წლების შემდეგ ვცდილობ, გადავწიო მოგონებების სქელი ფარდა და კვლავ ცხოვლად შევიგრძნო თქვენი გაკვეთილების სიღრმე, უშუალობა, სილაღე. გავიხსენოთ მერხებს შორის მოარული, ყველასადმი ერთნაირი სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული, ათასობით ბავშვის მეგობარი, ჩინებული მასწავლებელი გერმანული ენისა, ვისაც შეგეძლოთ გეთქვათ:

„რაკიღა მისმენ, ბავშვო,
შენღა გეკუთვნის მხოლოდ
ჩემი გრძნობა და აზრი,
ჩემი თვალების სითბო,
ჩემი უძილო ღამე
და სიყვარული წრფელი“.

ამიტომ გვიყვარდით ყველას გამორჩეულად. თქვენ ბრძანდებო-დით ღირსეული შვილების დედა, ღირსეული შვილიშვილების ბებია, გულგაუტეხელი, ჭირთა მთმენი, მუდამ ხალისიანი, ულამაზესი, დიდებული, დარბაისელი ქალბატონი. მინდა თაობების სახელით მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი აღზრდისთვის, ჩვენზე ზრუნვისთვის:

„მინდა შევვედროთ მაგ თქვენს ლამაზ სულს,
ისევ იზრუნოს ჩვენზე ზევიდან,
როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით,
იმ ქვეყნად შეგხვდეთ ღმერთთან, ჩვენ გვინდა.“

თქვენი მოსწავლე **მანოლა.**

სკანვორდი





პასუხები:

ვერტიკალურად: 1. ალეგორია; ქალის სახელი; ფლორა; ფრანგი; ნეტარ; ეროვნული ბანკის ბალანსი; ბალიშიანი; ბოლოდ; ბოლოდ; ბოლოდ

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა
(1917 წლის ნოემბერი)

1918 წლის 15 (28) იანვარს **ევგენი გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით ამიერკავკასიის კომისარიატის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: **აკაკი ჩხენკელი, ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი, ავ. ნერუჩევი, შალვა ალექსი-მესხიშვილი, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი, ხ. ი. კარჩიკიანი, ვლადიმერ გობეჩია, გ. გ. ტერ-გაზარიანი, პეტრე გელეიშვილი, მემედ ჰასან ჯაფარყული გაჯინსკი, ლ. ბებუთოვი, ი. გ. ფირცხალაიშვილი, ალექსანდრე მიასნიკიანი, ა. ერზინკიანი, კ. ა. გაზარიანი, კ. ტერ-არუთინიანი, ა. ხკანტემიროვი.** სხდომაზე მოწვეული იყვნენ ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდალგენერალი **ევგენი ლებედინსკი,** ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი **ს. ზავალიშინი,** სომხეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები **მიხეილ პაპაჯანოვი** და **ტ. ა. ბეკზადიანი,** საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი **გრიგოლ ვეშაპელი,** ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია.** ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომამ განიხილა ოსმალეთთან დასადები ზავის საკითხი.

ევგენი გეგეჭკორმა სხდომას გააცნო ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების მთავარსარდლის მეჰმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშას წინადადება ზავის დადებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ამ წინადადებაზე პასუხის გაცემა. ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ სხდომის მიზანი იყო ვეჰიბ ფაშასათვის გასაგზავნი პასუხის ტექსტის შემუშავება. იქვე ევგენი გეგეჭკორმა დასძინა, რომ პასუხის ტექსტის შედგენასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის კომისარიატში გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა. კერძოდ, უთანხმება წარმოშვა იმან, თუ რომელი ხალხების ავტონომიურ მთავრობებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა ოსმალეთთან დასადები ზავის პირობების განსაზღვრაში. ამიერკავკასიის კომისარიატის წევრთა ნაწილის აზრით ზავის პირობების განსაზღვრაში მონაწილეობა უნდა მიეღო მხოლოდ ყუბანის, თერგის და დაღესტნის მთავრობებს (საქმე ეხებოდა კაზაკთა ჯარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირს — ვ. გ.), მეორე ნაწილის აზრით — უკრაინის რადასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირში შემავალ ყველა სუბიექტს.

ს. ზავალიშინმა აღნიშნა, რომ ოსმალეთისათვის ეცნობებინათ შემდეგი: რუსეთის ბატონ-პატრონია დამფუძნებელი კრება და მის გარეშე საზავო მოლაპარაკების დაწყება შეუძლებელია.

ხ. ი. კარჩიკიანის აზრით უხერხული იყო დამფუძნებელ კრებაზე მინიშნება, რადგან გაურკვეველი იყო ამჟამად კრება მოქმედი იყო თუ არა და მითუმეტეს იარსებებდა თუ არა იგი მომავალში.

ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ უნდა გარკვეულიყო თუ რომელი ხალხების ავტონომიურ მთავრობებს მოიწვევდნენ ზავის პირობების შესამუშავებლად, რადგან მათ გარეშე ზავის დადება არ შეიძლებოდა. ნოე ჟორდანია განსაკუთრებით აუცილებლად მიიჩნევდა უკრაინის ჩართვას საზავო მოლაპარაკებაში, რადგან მას შავ ზღვაზე სერიოზული ინტერესები გააჩნდა. ნოე ჟორდანიამ ისიც აღნიშნა, რომ მეზობელი ხალხის ავტონომიური მთავრობების ჩართვას საზავო მოლაპარაკებაში შეიძლებოდა ოსმალეთის პროტესტი გამოეწვია, ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის კომისარიატს ოსმალეთისათვის უნდა განმარტა, რომ კომისარიატი ზავს მეზობელ ხალხებთან შეთანხმების გარეშე ვერ დადებდა.

ს. ზავალიშინმა კვლავ აუცილებლად მიიჩნია იმის აღნიშვნა, რომ ზავის საკითხი რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეშე ვერ გადაწყდებოდა და იმავდროულად, თავის პირველ გამოსვლის ტექსტს დაუმატა: „თუ ამ დროის განმავლობაში დამფუძნებელი კრება ვერ შეიკრიბება, ამიერკავკასიის კომისარიატი თავის მოვალეობად მიიჩნევს საზავო მოლაპარაკების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს დამფუძნებელი კრება".



გ. გ. ტერ-გაზარიანმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ს. ზავალიშინის შესწორება, რადგან თვლიდა, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრების არსებობა დიდ ეჭვს იწვევდა.

ს. ზავალიშინმა თავისი აზრი დაიცვა და დაამატა: ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის ტექსტში რუსეთის დამფუძნებელი კრების მოხსენიება ბოლშევიკების მიერ გარეკილი კრების მორალური მხარდაჭერის მაჩვენებელი იქნებაო.

ვლადიმერ გობეჩიამ აღნიშნა, რომ საზავო მოლაპარაკების პროცესში რუსეთის დამფუძნებელი კრების მოხსენიებას ოსმალეთი საზავო მოლაპარაკების გაჭიანურების მცდელობად მიიჩნევდა.

ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მართალია სამართლებრივად რუსეთის დამფუძნებელი კრება ქვეყნის ბატონ-პატრონია, მაგრამ ოსმალეთისათვის გასაგზავნ ოფიციალურ დოკუმენტში დამფუძნებელი კრების მოხსენიება შეიძლება მიზანშეწონილი არც ყოფილიყო.

აკაკი ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ ოსმალეთთან ზავი რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა დაედო, მაგრამ ამჟამად დამფუძნებელი კრება გარეკილია და ჩვენ ამის გამო ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება არ უნდა გადავდოთო. აკაკი ჩხენკელმა დასკვნის სახით აღნიშნა: „ვის უნდა ვესაუბროთ რუსეთში, ეს ჩვენი შინაური საქმეა".

შალვა ალექსი-მესხიშვილმა აღნიშნა, რომრუსეთის დამფუძნებელ კრებაზე მინიშნება არ შეიძლება, რადგან საეჭვოა, რომ კრება უახლოეს ხანებში შეუდგეს მუშაობას, ხოლო ზავის დადება საჩქაროაო.

ს. ზავალიშინმა ბოლოს და ბოლოს მოხსნა თავისი წინადადება და თვითონვე განაცხადა: რადგან გაურკვეველია თუ როდის შეიკრიბება დამფუძნებელი კრება, მისი მოხსენიება ოფიციალურ დოკუმენტში არ შეიძლება.

მიხეილ პაპაჯანოვმა განაცხადა: რადგან დამფუძნებელმა კრებამ რუსეთი ფედერაციულ რესპუბლიკად აღიარა ჩვენ გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ დამოუკიდებელ ქვეყანას კი არ წარმოვადგენთ, არამედ ავტონომიას.

ევგენი გეგეჭკორმა მიხეილ პაპაჯანოვის აზრი მიუღებლად მიიჩნია. იგი თვლიდა, რომ ასეთი განცხადების გაკეთება სხვა ავტონომიებთან შეთანხმების გარეშე მიზანშეწონილი არ იყო.

კამათის დასრულების შემდეგ ევგენი გეგეჭკორმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რამდენი დრო ეთხოვათ ოსმალეთისათვის გასაგზავნ დოკუმენტში ზავის პირობების საბოლოო ვარიანტის შესამუშავებლად. 10 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ გადაწყდა, რომ ზავის პირობების საბოლოო ვარიანტის შესამუშავებლად აუცილებელი დრო 3 კვირით განსაზღვრულიყო.

ამის შემდეგ განიხილეს საკითხი თუ რომელი ხალხის ავტონომიური მთავრობები მოეწვიათ ზავის პირობების შესამუშავებლად. უმრავლესობის აზრით ზავის პირობების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირისა და უკრაინის წარმომადგენლები უნდა მოეწვიათ. გენერალმა **ევგენი ლებედინსკიმ** აღნიშნა, რომრაც უფრო მეტი ავტონომიური მთავრობის წარმომადგენელი მიიღებდა მონაწილეობას მოლაპარაკებაში, ზავი მით უფრო მტკიცე იქნებოდა. **ვლადიმერ გობეჩიამ** განაცხადა, ჩვენ არ შეგვიძლია ყველა ავტონომიურ მთავრობას მოველაპარაკოთ, ამიტომ ზავი ოსმალეთთან ავტონომიურად უნდა დავდოთო. **ლ. ბებუთოვის** აზრით, მოლაპარაკების პროცესში ყირიმელი თათრების წარმომადგენელსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. **აკაკი ჩხენკელმა** აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში შეიძლებოდა მოლაპარაკებაზე მიეწვიათ მხოლოდ ყუბანის, თერგისა და დაღესტნის წარმომადგენლები, ხოლო დანარჩენი ავტონომიური მთავრობები საქმის კურსში ჩაეყენებინათ. აკაკი ჩხენკელის წინადადება უარყოფილ იქნა. ამიერკავკასიის კომისარიტმა დაადგინა: 1918 წლის 1 თებერვალს თბილისში საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გახსნილიყო საზავო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნებოდნენ უკრაინისა და სამხრეთ-დასავლეთი კავშირის წარმომადგენლები.

ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 15 (28) იანვრის სხდომაზე საზავო მოლაპარაკების შესახებ საკითხის განხილვის შემდეგ, იმავე დღეს, 15 (28) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს მეჰმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშას ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით ევგენი გეგეჭკორმა წერილი გაუგზავნა, რომლის შინაარსი ასეთი იყო:

1. ამიერკავკასიის კომისარიატი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზავთან დაკავშირებით ოსმალეთის არმიის მთავარსარდლის ენვერ ფაშას წინადადებას დროულად ვერ უპასუხა;

2. ამიერკავკასიის კომისარიატი ვეჰიბ ფაშას თხოვდა ენვერ ფაშა დაერწმუნება იმაში, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ზავის დადების საკითხში სრულ სოლიდარობას უცხადებდა ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს;

3. ამიერკავკასიის კომისარიატს არ შეეძლო გადაეწყვეტა ზავის დადების საკითხი მეზობელი ხალხების ავტონომიურ მთავრობებთან შეთანხმების გარეშე, რის გამოც დაიწყო მოლაპარაკებები ამ ავტონომიურ მთავრობებთან და როგორც კი ზავთან დაკავშირებით საერთო აზრი შემუშავებული იქნებოდა დაუყოვნებლივ ეცნობებოდა ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს;

4. ამიერკავკასიის კომისარიატი იმედს გამოთქვამდა, რომ ზავის პირობებთან დაკავშირებით მის მიერ მოთხოვნილი სამ კვირიანი ვადა გაგებით იქნებოდა მიღებული ოსმალეთის მხარის მიერ.

ცხადია, ზავის საბოლოო პირობების შესამუშავებლად სამ კვირიანი ვადა ძალზე მცირე იყო, ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატმა აქტიური მუშაობა გააჩაღა. 1918 წლის 16 (29) იანვარს ევგენი გეგეჭკორმა უკრაინის ცენტრალური რადის თავმჯდომარესა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის თავმჯდომარეს შექმნილი ვითარების შესახებ აცნობა და 1918 წლის 1 თებერვალს თბილისში საგანგებო კონფერენციაზე მოიწვია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ: ამიერკავკასიის კომისარიატი, უკრაინის ცენტრალური რადისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის წარმომადგენლები. 17 (30) იანვარს ევგენი გეგეჭკორმა ოსმალეთთან ზავის დადებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების შესახებ საქმის კურსში ჩააყენა კავკასიაში უცხო ქვეყნების კონსულები. 18 (31) იანვარს ევგენი გეგეჭკორმა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის თავმჯდომარის მოადგილისგან ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „თქვენი დეპეშა ენვერ ფაშას წინადადებასთან დაკავშირებით გადავეცით დონის, ყუბანის, თერგ-დაღესტანის, ასტრახანის, ურალისა და ორენბურგის მთავრობებს. ყუბანის მთავრობამ უკვე გამოთქვა დადებითი აზრი. ჩემი მხრიდან ვვარაუდობ, რომ ვადა 1 (14) თებერვლამდე (იგულისხმება 1 თებერვალს დანიშნული კონფერენციის გახსნის დღე — ვ. გ.) ძალზე მცირეა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ სადღეისოთ რკინიგზაზე შექმნილ უწესრიგობას".

1917 წლის 5 (18) დეკემბრის ერძინჯანის დროებითი ზავის დარღვევა

საბოლოო ზავის დადებამდე აუცილებელი იყო 1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის პირობების დაცვა, რაც შეუძლებელი გახდა. 1918 წლის 9 (22) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალმა **მეჰმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშამ** *წერილით მიმართა კავკასიის არმიის სარდალ გენერალ-ლეიტენანტ* **ილია ოდიშელიძეს.** *წერილი სომეხთა მიერ მუსლიმი მოსახლეობის დარბევას ეხებოდა. ვეჰიბ ფაშა წერდა:*

1. რუსეთის არმიის მიერ დაკავებულ ოსმალეთის პროვინციებში სომხებმა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დარბევა დაიწყეს;

2. ოსმალეთის არმიის კავკასიის პირველი კორპუსის ერძინჯანიდან არზრუმში გადასვლის შემდეგ, ერძინჯანის შემოგარენში მუსლიმი მოსახლეობის დარბევამ ფართო მასშტაბები მიიღო: სომხები აღარ კმაყოფილდებოდნენ მუსლიმთა მკვლელობის ცალკეული შემთხვევებით, მთ სოფლებში დაიწყეს ძარცვა და ქალებზე ძალადობა; სომხებმა ერძინჯანიდან 18 კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელი ზეგკეხი გადწვეს; სომეხ ყაჩაღთა 30 კაცანი რაზმი თავს დაესხა სოფელ კოსკას, რომელიც არდასიდან სამხრეთ-დასავლეთით 3 კილომეტრზე მდებარეობს, გაუპატიურეს ქალები, ხოლო სოფელი გადწვეს;

3. ოსმალეთის მხარე დარწმუნებული იყო, რომ დროებითი ზავის დადების შემდეგ, 1917 წლის 19 დეკემბერს, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის გენერალ მიხაილ პრჟევალსკის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილ წერილში მოცემული პირობა შესრულდებოდა. ამჯერად თქვენ გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა სომხების მიერ მუსლიმი მოსახლეობის დარბევა შეწყდეს.

როგორც ჩანს გენერალმა **ილია ოდიშელიძემ** *სათანადო ზომების მიღება ვერ შეძლო. ამიტომ იყო, რომ 1918 წლის 29 იანვარს (11 თებერვალს)* **მეჰმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშა** *კავკასიის არმიის სარდალს წერდა, რომ სომხები კვლავ აგრძელებდნენ რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მუსლიმთა რბევა-დაწიოკებას. ოსმალო გენერალი აღნიშნავდა:*

1. უცნობი იყო სით წაიყვანეს სომხებმა ქალაქ ერძინჯანში დატყვევებული 650 მუსლიმი;

2. სომეხთა რაზმმა, რომელსაც სოფელ სივასის მცხოვრები ვინმე მურადი მეთაურობდა, სოფელ კილისის მცხოვრებ მუსლიმებს უბრძანა მოედანზე შეკრებილიყვნენ. სოფლის უხუცესებმა სომხებს სთხოვეს განემარტათ თუ რაში მდგომარეობდა მოსახლეობის შეკრების მიზეზი. სომეხთა რაზმის მეთაურის მურადის განკარგულებით უხუცესები მაშინვე შეიპყრეს და სიკვდილით დასჯეს, ხოლო მოსახლეობა ძალით გამოიყვანეს სახლებიდან, წაიყვანეს ერძინჯანში და 1.500 მუსლიმი ვეჰიბ ბეის სახლში შეკრიბეს. რის შემდეგაც სახლს ოთხივე მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლ წაკიდებული სახლის ფანჯრებიდან გადმომხტართ სომხები ტყვიითა და ხიშტებით ხოცავდნენ;

3. ერძინჯანში სომხებმა ღამით გადაწვეს ოსმალეთის ჯარის ყაზარმები და ავადმყოფთათვის განკუთვნილი კიდევ 3 შენობა. ყაზარმებსა და შენობებში მხოლოდ ქალები და ბავშვები იყვნენ, რომლებიც ხანძრს შეეწირნენ. იმავე დღეს ქალაქში სომხებმა დახლოებით 1.000 სახლი გადწვეს;

4. სომეხთა წინამძღოლმა ბაიბურთ არშაკმა სოფლების მოსახლეობას უბრძანა ბაიბურთში შეკრებილიყვნენ. შეშინებული მოსახლეობის ნაწილმა კალკიტში მყოფ რუსეთ-ოსმალეთის შერეულ სამშვიდობო მისიას თხოვა მფარველობა. დღემდე უცნობია რა ბედი ეწია მუსლიმთა ამ ნაწილს;

5. თურქესტანის 23-ე პოლკმა კესადან ტრაპეზუნდისაკენ მიმავალ გზაზე 23 მუსლიმის გვამი შენიშნა;

6. სომხების მიერ მუსლიმთა საყოველთაო რბევა-დაწიოკებას, რომელთა შორის ახალშობილი ბავშვებიც იყვნენ, ტრაპიზონის ბაზარის გაძარცვამ და გადაწვამ, თამბაქოს მარაგის მიტაცებამ, ქალაქ რიზეს გადაწვამ და კიდევ სხვა მსგავსმა ფაქტებმა მიიყვანა თხოვნით მომმართა თქვენთვის, რათა სომეხთა ძალმომრეობისაგან მუსლიმი მოსახლეობა დაიცვათ;

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(გვ. 105-111)

ოზურგეთის თეატრის განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმები

ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ვასილ ჩიგოგიძე** რადიოთეატრის სტუდიაში ჟურნალისტებს შეხვდა და თეატრის მიერ განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

– ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა 153-ე სათეატრო სეზონი ახლადრეაბილიტირებულ შენობაში 2021 წლის 14 მაისს გახსნა. სეზონის გახსნამდე დასმა 6 პრემიერა მოამზადა. ოზურგეთის თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული, ისტორიული მნიშვნელობის სათეატრო სეზონი გაიხსნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **ვასილ ჩიგოგიძის** სპექტაკლით „მონატრება – ნუ გააღვიძებ“ (ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით, ინსცენირება **ლეა არაბიძის),** რომელშიც თეატრის 4 თაობა მონაწილეობდა, მათ შორის, დებიუტანტი მსახიობები, რომლებსაც პირველად შეხვდა ფართო აუდიტორია.

15 მაისს, მცირე სცენა გაიხსნა **ვანო ხუციშვილის** სპექტაკლით „სამს პლუს სამი“ (**მანანა დოიაშვილის** პიესის მიხედვით). მას მოჰყვა ელენე მაცხონაშვილის თოჯინური სპექტაკლი დიდებისთვის „დონ კიხოტი“ და **მამუკა ბაბილობის** „ვერნისაჟი“ (**ვაცლავ ჰაველის** აბსურდის კომედია), დიდ სცენაზე კი წარმოდგენილი იყო: **დიმიტრი ხვთისიაშვილის** სპექტაკლი „მთავარი როლი“ (**თამარ ბართაიას** პიესის მიხედვით) და **ოთარ კუტალაძის** „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“ (**ედუარდო დე ფილიპოს** კომედია).

არანორმალურ რეჟიმში იმუშავა თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა, ტექნიკურმა პერსონალმა და დირექციამ და თვენახევრის განმავლობაში 27 წარმოდგენა გამართა. ივნისის ბოლოს თეატრმა მცირე შესვენება გამოაცხადა და თავისი სცენები ოზურგეთში სტუმრად ჩამოსულ თეატრებს დაუთმო. მცირე ხნის განმავლობაში, ოზურგეთის თეატრის სცენაზე წარმოდგენები გამართეს:

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა (ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, რეჟისორი **რამაზ იოსელიანი**); ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულმა სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა („მაუგლი“, რეჟისორი **ვახტანგ ნიკოლავა**); ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა (**აქვსენტი ცაგარელის** „ჭკუისა მჭირს“, რეჟისორი გიგი ლორია).

წლის ბოლომდე ოზურგეთის თეატრი მორიგ პრემიერებს შესთავაზებს მონატრებულ მაყურებელს. ეს დადგმებია: **ჰოფმანის** მიხედვით „მარი და ჰარის თავგადასავალი“ (რეჟისორი **ვასილ ჩიგოგიძე**), სამხატვრო ხელმძღვანელის ინიციატივით იგეგმება გურიის წარსულის გაცოცხლება სცენაზე. რეჟისორი **გოჩა კაპანაძე** უკვე მუშაობს სპექტაკლზე „გურიის უკანასკნელი დედოფალი – სოფია“, ხოლო რეჟისორი **ნიკოლოზ საბაშვილი** საავტორო სპექტაკლს „გურიის რესპუბლიკა“ დადგამს.

თეატრი ფონდმა „ქართუმ“ გაარემონტა, ხოლო რადიოთეატრის სტუდია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური დახმარებით გაკეთდა. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სტუდიაში 3 კამერა იმუშავებს.

ძალიან დიდი თანხები სჭირდება კომუნალურ ხარჯებს. ივლისს, აგვისტო, სექტემბერში მხოლოდ კომუნალური ხარჯებისთვის 200 ათასი ლარია საჭირო.ვფიქრობ კულტურის სამინისტროს წინაშე დავაყენო საკითხი თეატრების რანჟირების შესახებ. ოზურგეთის თეატრის შენობის საერთო ფართი 7.800 კვადრატული მეტრია.

მიმდინარე ზაფხულს იგეგმება ფართო მასშტაბიანი საგატროლო ტურნე რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში. აქ ჩვენ სპექტაკლებს გავმართავთ ამბროლაურის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში.

იცით, რომ ევრაზიის თეატრებისა და ფესტივალების საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, სადაც 6 ქვეყანაა გაერთიანებული. ოფისი სტამბულში გვაქვს. 5-6 აგვისტოს აქ მორიგი შეხვედრა გაიმართება და ასოციაციის წევრად ესპანეთს მივიღებთ.

რაც შეეხება ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალს პლუს ქართული მწერლობა, უფრო მრავალფეროვანი გახდება.

2022 წელს ფესტივალში 21 უცხოეთის ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

ოზურგეთის თეატრის ახალი სეზონის გახსნას ფართოდ გამოეხმაურა პრესა. ფაქტობრივად არ დარჩენილა არც ერთი ტელევიზია, რომელმაც არ გააშუქა თეატრის გახსნა და საპრემიერო წარმოდგენები, კრიტიკოსებმა: **გიორგი ყაჯრიშვილმა, ლელა ოჩიაურმა, დავით ბუხრიკიძემ, გუბაზ მეგრელიძემ, მაკა ვასაძემ, ლაშა ჩხარტიშვილმა, ნუცა კობაიძემ** და სხვებმა გამოაქვეყნეს რეცენზიები და წერილები თეატრზე და სპექტაკლებზე.

ოზურგეთის თეატრს დაგეგმილი აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ფესტივალებში, როგორც რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალში, ისე თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამაში. ასევე თეატრი გეგმავს გამგზავრებას უკრაინასა და ყაზახეთში. ხერსონში ჩვენ დოიაშვილის „3+3 “ უნდა წავიღოთ. თუ წინა ფესტივალზე **თამარ მდინარაძემ** ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის ტიტული მიიღო, ამჯერად გრან პრიზე გვექნება განაცხადი. ჩვენ კვლავ ვეწვევით გენიჩესკს.

– ჩვენ უნდა დავიჭიროთ ის ნიშა, რასაც გურიის ეს თეატრი საქართველოში იმსახურებს – განაცხადა **ვასილ ჩიგოგიძემ.**

ჟურნალისტები ეწვივნენ თეატრის მუზეუმს და შემდეგ რეჟისორ **გოჩა კაპანაძის** დადგმის „გურიის უკანასკნელი დედოფალი“ რეპეტიციას დაესწრნენ. რეჟისორმა პასუხი გასცა ჟურნალისტების შეკითხვებს.

„გურიის უკანასკნელი დედოფალი - სოფიო

ალიონი. ოზურგეთელი ჟურნალისტები სპექტაკლზე „გურიის –უკანასკნელი დედოფალი – სოფიო“ მუშაობას დაესწრო. რეჟისორი გოჩა კაპანაძე, ძლიერი ემოციებით, სპექტაკლის ფრაგმენტებზე საინტერესოდ გვესაუბრა:

– ძალიან საპასუხისმგებლოა ჩემთვის სპექტაკლზე „გურიის უკანასკნელი დედოფალი – სოფიო“მუშაობა. თეატრის დირექციასთან შეთანხმება შედგა და ჩვენ ყველა ტექნიკური საშუალება გვაქვს ამ სპექტაკლის წარმატებით განხორციელებისათვის.

თავდაპირველად გვინდოდა ექვთიმე თაყაიშვილზე დაგვედგა სპექტაკლი, მაგრამ იგი სხვა სიღრმისეულობას ითხოვს. იქ არის თურქეთის თემა, საფრანგეთის თემა და ამ ეტაპზე ძნელად - განსახორციელებელია.

„სოფიო გურიელის ისტორია“ ეს ისტორიაა ქალისა, რომელმაც იმ პერიოდში გურიის სამთავროს ღირსება შეუნარჩუნა.

ძმძე თემაა თურქეთში გამგზავრების წინა სცენა, ადამიანური ტრაგედია, რომელ შვილს წაიყვანს თურქეთში. ლიხაურის ციხეს უკვე მოადგა რუსული ჯარი და მეგრული მილიცია. სოფიო ირჩევს მხოლოდ უფლისწულებს –დავითს და ეკატერინეს...ეს მთლიანად საქართველოს ისტორიაა.

ამაღელვებელია სოფიოს მიმართვა გურულებისადმი – დადგა ჟამი გამარჯვებისა. ერთხელ კიდევ დავაგუგუნოთ გურული სიმღერა!

გურიელების ოჯახი – დედოფალი სოფიო... ეს არის დიპლომატი, განათლებული ქალბატონი, რომელიც ფლობს ევროპულ ენებს. სასახლეში უსმენენ შოპენს, უკრავენ ვალსს, „მარზურკას“, აქ ევროპული კულტურაა შემოსული..

სპექტაკლში კარგადაა წარმოდგენილი ჩინ-მედლებზე მონადირე თავადაზნაურობა.

– გონება მკარნახობს, რომ შევეგუო, გული კი არა – მამის მკვლელს როგორ შევეგუები.

200 წელია ამ წრეზე ვტრიალებთ, მტერი არ გვცილდება.

როცა რუსები უთვლიან, რომ ჩვენ მშვიდობა მოგიტანეთ, სოფიო პასუხობს – 30 წელია თქვენ იმდენი უბედურება მოგვიტანეთ, ქრისტიანები ასე არ იქცევიან. მგელი კრავად არ გადაიქცევა..

მოკლედ დანარჩენს სპექტაკლში ნახავთ. დედოფალ სოფიოს როლს **თამარ მდინარაძე** ასრულებს, მომავალში შესაძლოა **ნანა ფაჩუაშვილი** მოვიწვიოთ.

სცენოგრაფია **ლომგულ მურუსიძეს** და **ქეთი ციციშვილს** ეკუთვნით. მეორე რეჟისორი ლალი თაბაგარია–გვითხრა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ.

მასწავლებელთა მეხოტბე პედაგოგი და პოეტი

ალიონი. „მასწავლებელი – ხალხის, ქვეყნის დიდება“ – ასე ჰქვია ბატონ **ნოდარ დონაძის** მეექვსე წიგნს, რომელიც მან შარშან გამოსცა და რომელსაც დიდი სიყვარულით შეხვდა მკითხველი საზოგადოება.

ვერ გეტყვით, რა დრო შეალია პოეტმა ამ მიძღვნებს, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, რომ ანალოგი არსად შეგვხვედრია – 50-ზე მეტი პედაგოგისთვის ქება-დიდება შეესხას ვინმეს და ის ერთ წიგნად ექციოს. ორიგინალობასთან ერთად, ეს, ალბათ, პედაგოგებისადმი უღრმესი პატივისცემისა და უდიდესი სიყვარულის გამოხატულებაა.

ზოგადად, ნოდარ დონაძის წიგნები გამოირჩევა მკითხველთა, უმეტესწილად მშობლიური კუთხის მოსახლეობასთან უშუალო დამოკიდებულებით. მშობლიური ხალხის სიხარულისა და ტკივილის გაზიარებით. ბატონი ნოდარი წერს სადად, მარტივად, გასაგებად, კარგი ქართულით და კარგი პოზიციით. ჯვარედინ, მაჯამა თუ რკალისებურ რითმებში ისეა გაწაფული, იფიქრებ, რომ ყველაფერი ეს ერთი ამოსუნთქვის შედეგია. სინამდვილეში ავტორი თითოეულ ლექსში, თითოეულ სტროფში დიდ ძალისხმევით დებს იმას, რაც აუცილებელია თანამედროვე ქართული პოეზიისთვის.

ამავე წიგნში საინტერესოდაა მოთხრობილი ისტორია სოფელ თხინვალის საჯარო სკოლისა, სადაც ის წლების განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

იმედიანი კაცია ბატონი ნოდარი. ნახეთ როგორ თბილად ამთავრებს იგი ამ წიგნში განთავსებულ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის მასწავლებლის, ქალბატონ **ეკა დარჩიასადმი** მიძღვნილ ლექსს:

„ვაქვს უშრეტი ენერგია,
არ იშურებ მთელ თქვენს ძალას,
იმედით ვარ, ჩემს შვილიშვილს
საიმედო ხელი ფარავს.“

80 წელს გადაცილებული კალმოსანი ჩვეული ენერგიით განაგრძობს წერას და მისგან მკითხველი მეშვიდე წიგნს ელოდება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 ივლისი ხუთშაბათი	16 ივლისი პარასკევი	17 ივლისი შაბათი	18 ივლისი კვირა	19 ივლისი ორშაბათი	20 ივლისი სამშაბათი	21 ივლისი ოთხშაბათი
წვიმა +18+26	ღრუბელი +18+27	მზე, +20+25	მზე, +21+31	მზე, +21+32	მზე, +20+32	ღრუბელი +20+29